ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2483494

ნომერი: AR1380964

თარიღი : 23.02.2016

გაცემის თარიღი : 16.03.2016

გაცნობის თარიღი : 19.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , მეტრო სადგურ "რუსთაველის" მიმდებარედ.; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზანდუკელი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თევდორე პაატაშვილი პ/ნ 01017017325
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 49

ორგანიზაცია:
- შპს აბრეშუმის კოშკი კოდი: 204417791

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

2016 წლის 23 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1380964 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე თევდორე პაატაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას ქ. მეტროსადგურ ,,რუსთაველი“–ს მიმდებარედ და ზანდუკელის ქ. #1–ში არსებულ მიწის ნაკვეთებისთვის

(საკადასტრო კოდებით: #01.15.02.011.009 და #01.15.02.011.011), მრავალფუნქციური ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება. საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ დოკუმენტი №2481232 (04.03.16.) და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #11 (10.03.16.)) რომლებზეც საკითხს მიეცა უარყოფითი რეკომნდაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე თევდორე პაატაშვილს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოსტავას ქ. მეტროსადგურ ,,რუსთაველი“–ს მიმდებარედ და ზანდუკელის ქ. #1–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდებით: #01.15.02.011.009 და #01.15.02.011.011), მრავალფუნქციური ობიექტის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.